სესხის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 12.06.2025

ერთი მხრივ, შპს (დასახელება) (ს.კ. 00000000000) (შემდგომში გამსესხებელი) და (სახელი გვარი) (პ/ნ 00000000000) (შემდგომში მსესხებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად გამსესხებელი იღებს ვალდებულებას მისცეს სესხი მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით, შესაბამისი სარგებლით, დაუბრუნოს სესხი გამსესხებელს

1.2 „მსესხებელი“ ვალდებულია მიღებული სესხის თანხა (თანხის ოდენობა ლარი) სრულად დაფაროს/დააბრუნოს (მ.შ. სესხის თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის გზით) არაუგვიანეს წლის 2035 წლის 20 ივნისამდე -მდე;

1.3 სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს (საპროცენტო განავკეთი) %-ს, რომელიც გაიანგარიშება

„მსესხებლის“ მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სესხის თანხების მიხედვით, გამოყენებული დღეების პროპორციულად;

1.4 სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის საბოლოო ვადაა 2035 წლის 30 ივლისამდე;

1.5 სესხზე დარიცხული ყოველთვიური პროცენტის გადახდა „მსესხებლის“ მიერ ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის შემდეგი თვის 14 რიცხვამდე;

1.6 სესხი გაიცემა უძრავი ქონების უზრუნველყოფით ს/კ (საკადასტრო ნომერი) გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით მსესხებელი თანხმობას აცხადების სესხის თანხა ჩაერიცხოს საქართველოს ბანკის ანგარიშზე (ანგარიშის ნომერი) მიმღები (სახელი გვარი) პ/ნ (00000000000)

1.7 მსესხებელი თანხმობას აცხადებს ქონება შესაძენი ქონება (საკადასტრო ნომერი) დაიტვირთოს იპოთეკით შპს ენ ჯი თი კაპიტალი სასარგებლოდ ქ.თბილისი იუსტიციის სახლში მის: ზვიად გამსახრუდიას 1

1.8 სესხი და მასზე დარიცხული სარგებელი იხილეთ თანდართული ფაილის სახით:

2 მოთხოვნის უზრუნველყოფა

2.1 „გამსესხებლის“ მიერ „მსესხებლისთვის“ გასესხებული თანხის, მასზე დარიცხული სავარაუდო პროცენტისა და შესაძლო პირგასამტეხლოს თანხების მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით (მთლიანობაში უზრუნველყოფილი თანხა თანხის ოდენობა ლარი),

„მსესხებელი“ „გამსესხებლის“ სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს (შემდეგში - „იპოთეკის საგანი“) - შენობა-ნაგებობებით ბინით ხელვაჩაურის რაიოდნი სოფელი შარაბიძეები „იპოთეკის საგნის“ ტექნიკური მახასიათებლებია:

საკადასტრო კოდი

დაზუსტებული ფართობი:

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:

მისამართი:

2.2 სესხის გადაცემა ხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, უნაღდოანგარიშსწორების გზით

2.3 თანხა გაიცემა ხელშეკურლების გაფორმებიდან 1 სამუშაო დღის განმალობაში. თანხის გადარიცხვის 1.6 პუნქტში მითითებულ ანგარიშის ნომერზე გამსესხებლის მიერ სესხის მიცემის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება.

2.4 თუ გავიდა სესხით სარგებლობის ვადა და მსესხებელი მაინც არ უბრუნებს გამსესხებელს სესხის ძირ თანხას, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის საპროცენტო სარგებელის დარიცხვა გაგრძელდება სესხის ძირითადი თანხის დაბრუნებამდე.

2.5 სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება მსესხებლის მიერ ხდება შემდეგი რიგითობით: გამსესხებლის მიერ დარიცხული და მოთხოვნილი პირგასამტეხლო, დარიცხულის საპროცენტო სარგებელი, სესხის ძირითადი თანხა და შემდეგ სხვა ნებისმიერი ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2.6 სესხის ვადაგადაცილების ერთჯერადად ჯამური დღეების 31 კალედარული დღის დაგროვების შემთხვევაში მსესხებელი უფლებამოსილია მიმართოსნაკისრ ვალდებულებებს სესხის დროულად დაფარვასთან მიმართებაში, გამსესხებელი იტოვებს უპირობო უფლებას მსესხებლის შესახებ ან/და მსესხებელთან დაკავშირებული გამსესხებლისათვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს შპს პრობლემური აქტივების ბიურო ს/კ (401995276), შპს მედიატორი ს/კ (405027322), შპს PROFESSIONAL LEGAL CONSULTING ს/კ (404995779), , შპს პრობლემური აქტივების მართვის სააგენტო ს/კ (402008554), შპს კრედიტ მენჯმენტი (ს/კ 404502356) და ასევე სხვა კომპანიებს, რომლებთანაც თანამშრომლობს და/ან მომავალში ითანამშრომლებს გამსესხებელი არსებული დებიტორული დავალიანების ამოღების მიზნებისათვის.

2.7 მსესხებელს არ აქვს უფლება გამსესხებელთან სესხის არსებობის დროს გადააფორმოს მესამე პირზე მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი საკადასტრო კოდი 69.04.59.301.01.503 წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე , ასეთი ფაქტის დაფიქსირების შეთხვევაში გამსესხებელთან მიმდინარე კონტრაქტი შეჩერდება და დაეკისრება მთლიანი თანხის გადახდა ერთჯერად ჯარიმასთან ერთად რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გასესხებული თანხის 10%

2.8 სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი იხდის დარჩენილი ძირის 2 (ორი) პროცენტის პირსაგამტეხლოს სახით

3 ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

3.1 „ხელშეკრულება“ ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს „მხარეთა“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

3.2 „ხელშეკრულების“ ვადამდე ადრე შეწყვეტა ან „ხელშეკრულებაში“ ცვლილების შეტანა ხდება „მხარეთა“ შეთანხმებით, წერილობითი ფორმით;

3.3 „ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრს „იპოთეკის საგანზე“ „გამსესხებლის“ სასარგებლოდ იპოთეკის უფლების რეგისტრაციის მიზნით

4 მხარეთა უფლებები დავალდებულებები

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს.

4.2 მხარეები ვალდებულნი არიან კომუნიკაციისას გამოიყენონ წერილობითი ფორმა. წერილობითი შეტყობინება მხარეს შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, იმ პირობით, რომ მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მას მიეწოდება შეტყობინება წერილობითაც.

4.3 მხარე ვალდებულია ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ.) ცვლილებების შესახებ აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე მიწოდებული ინფორმაცია (სასამართლო, საარბიტრაჟო, ნოტარიუსის, გაფრთხილების და ა.შ შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჩაბარებულად.

4.4 მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ მიაწოდონ ერთმანეთს ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასესხო ურთიერთობებზე,

4.5 მსესხებლის განცხადების საფუძველზე გამსესხებელი უფლებამოსილია გაუგრძელოს მსესხებელს სესხის დაფარვის ვადა.

5 პასუხისმგებლობა

5.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვმა მხარემ უნდა აუზღაურებს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.2 ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართით გათვალისწინებული ვადამოსული გადასახდელის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს მსესხებელს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადამოსული დავალიანების 0.10%-ის ოდენობით.

5.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის საპროცენტო სარგებლის გადახდისგან.

6 ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ვადამდე შეწყვეტა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის გამსესხებლის მიერ თანხის გაცემის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6.2 ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში და წესით:

6.2.1 გამსესხებლის ინიციატივით, წინასწარ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით და/ან გრაფიკით ნაკისრი გადახდის ვალდებულების 2(ორი) ან მეტჯერ დარღვევის შემთხვევაში, ან თუ გადახდის ვადის გადაცილება აღემატება 30 დღეს.

6.2.2 გამსესხებლის ინიციატივით, წინასწარ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ვალის დაბრუნებას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

6.2.3 მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

6.2.4 ფულადი ვალდებულებების მსესხებლის მიერ ვადამდე სრულად გადახდით.

7 ფორს მაჟორი.

7.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინებას და თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა შესაბამისი მხარე მიზანშეწონილი ზომების მიღებით და რომელთა დადგომისას მხარეები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას შეესარულებინათ წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები. ფორსმაჟორულ გარემოებებს მიეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება) ბუნებრივი მოვლენები: წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, ომი, გაფიცვა, და სხვა დაუძლეველი ძალა, რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას.

7.2 ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,

8 სხვა პირობები

8.1 მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

8.2 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს სასამართლოსადმი მიმართვის გზით.

8.3 ხელშეკრულების ნებისმიერი დამატება ან/და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით, ხელმოწერილია მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების

8.4 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად/ძალადაკარგულად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლის ბათილობას/ძალადაკარგულობას. მხარეები ყველა შესაძლო ზომას მიიღებენ, რათა ამგვარი ბათილი/ძალადაკარგული დებულება შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე მსგავსი შინაარსის დებულებით, რათა შესაძლებელი იყოს ხელშეკრულების მიზნის შენარჩუნება.

8.5 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული ურთიერთობანი მხარეთა შორის რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანომდებლობის შესაბამისად, უპირატესად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად

8.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლიარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი წარედგინება „გამსესხებელს“, ხოლო მეორე „მსესხებელს“

8.7 მხარეები ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებენ, რომ სრულად ესმით ხელშეკრულების დებულებათა შინაარსი, არ არის ის ბუნდოვანი და ეთანხმებიან მათ.

8.8 წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილია ,,გამსესხებლის'' ადგილსამყოფელი.

„გამსესხებელი“	„მსესხებელი “
შპს დასახელება	სახელი გვარი
ს.კ 00000000000	პ/ნ 00000000000
იურიდიული მისამართი:	იურიდიული მისამართი: შეიყვანეთ იურიდიული მისამართი
ფაქტობრივი მისამართი:	ფაქტობრივი მისამართი : შეიყვანეთ ფაქტობრივი მიამართი
ელ. ფოსტა:	ელ. ფოსტა: შეიყვნეთ მეილი
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერისადაც უნდა ჩაგერიცხოთ თანხა
ხელმომწერი პირი:	ხელმომწერი პირი: ამგრაფაშიც მოაწერეთ ხელი

გამსესხებელი ---------- მსესხებელი ----------